პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი | № 112 (12320) | სამშაბათი, 15 მაისი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

გზა მშვიდობისა!

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით 14 მაისს მოსკოვიდან სოფიაში საპასუხო ვიზიტად გაემგზავრა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

სიხარულით მოელოდა საბჭოთა კავშირიდან სტუმრებს ამ დღეებში მოძმე ბულგარეთი. რესპუბლიკის მოსახლეობის ყველა ფენა უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა ცნობას, რომ იქ ჩავა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. ორივე მოძმე ხალხი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ეს ვიზიტი ახალი წვლილი იქნება საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ცხოველმყოფელი მეგობრობის განმტკიცებაში.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. სნეჩკუსი, უკრაინის კომპარტიის კიევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი, სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. პავლოვი, სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ი. პოპოვი, სკკპ მოსკოვის კომიტეტის მდივანი ო. პ. კოლჩინა, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე აკადემიკოსი ა. ნ. ტუპოლევი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ელჩი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში გ. ა. დენისოვი, რომელიც სოფიაში შეუერთდება დელეგაციას.

იმავე თვითმფრინავით სოფიაში გაემგზავრა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში ლუბენ ნ. გერასიმოვი.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანამგზავრები გულთბილად გააცილა მოსკოვის მშრომელთა მრავალმა წარმომადგენელმა.

პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. პ. კირილენკომ, ფ. რ. კოზლოვმა, ა. ნ. კოსიგინმა, ო. ვ. კუუსინენმა, ა. ი. მიკოიანმა, დ. ს. პოლიანსკიმ, მ. ა. სუსლოვმა, ნ. მ. შვერნიკმა, ვ. ვ. გრიშინმა, პ. ნ. დემიჩევმა, ა. ნ. შელეპინმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ი. პალეციკისმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ა. თ. ზასიადკომ, ნ. გ. იგნატოვმა, ვ. ნ. ნოვიკოვმა, კ. ნ. რუდნევმა, დ. თ. უსტინოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ი. ვ. სპირიდონოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ, სსრ კავშირის მინისტრებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებმა, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, საბჭოთა კავშირის მარშლებმა, ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

აეროდრომზე იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლენი, ბულგარელი სტუდენტები, რომლებიც დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

გამცილებლებმა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვსა და საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრებს უსურვეს გზა მშვიდობისა.

(საკდესი).

გულითადი შეხვედრა სოფიაში

სოფია, 14 მაისი. საკდესის სპეც. კორ. დ. ბოჩაროვი იუწყება:

დღეს სოფიაში საპასუხო ვიზიტად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

ძვირფასი საბჭოთა სტუმრების შესახვედრად აეროდრომზე მოვიდნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტოდორ ჟივკოვი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ანტონ იუგოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ბოიან ბილგარანოვი, რაიკო დამიანოვი, ენჩო სტაიკოვი, ივანე მიხაილოვი, გიორგი ცანკოვი, მიტკო გრიგოროვი, სტანკო ტოდოროვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები და ცენტრალური კომიტეტის მდივნები, ბულგარეთის სამინდამოქმედო-სახალხო კავშირის მდივანი გიორგი ტრაიკოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სახალხო კრების პრეზიდიუმის წევრები, მთავრობის წევრები, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაო სახალხო კომიტეტის, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სახალხო არმიის ოფიცრები, ბულგარელი და უცხოელი ჟურნალისტები. შემხვედრთა შორის იყო სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთში გ. ა. დენისოვი.

აეროდრომზე შეიკრიბა სოფიისა და ახლომდებარე სოფლების მშრომელთა ათასობით წარმომადგენელი. ყველას აღფრთოვანებული, სასიხარულო განწყობილება აქვს. შემხვედრთ ხელში უჭირავთ ყვავილთა თაიგულები — გაზაფხულის, სიხარულისა და მეგობრობის სიმბოლო. აეროდრომის ფასადზე ვ. ი. ლენინის, გ. დიმიტროვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ტოდორ ჟივკოვის პორტრეტები. წითელ ქსოვილზე ელვარებს სიტყვები: „მხურვალე სალამი დიადი საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას! გულითადი სალამი ჩვენს ძვირფას ამხანაგს, მეგობარსა და ძმას ნ. ს. ხრუშჩოვს“.

12 საათზე დიქტორი იუწყება, რომ „ტუ-104“, რომელშიც საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციაა, გადაკვეთა ბულგარეთის საზღვარი და მალე სოფიაში იქნება.

აეროდრომზე იზრდება გამოცოცხლება. აეროდრომის აღმოსავლეთ ნაწილზე გამოჩნდა დიდი ხნის ნანატრი თვითმფრინავი, რომელსაც ოთხი გამანადგურებელი ახლავს. თვითმფრინავი წრეს აკეთებს ბულგარეთის დედაქალაქზე და ზუსტად 12 საათსა და 30 წუთზე ჯდება.

თვითმფრინავიდან გამოდიან ნ. ს. ხრუშჩოვი და დელეგაციის წევრები. აეროდრომზე გაისმის მძლავრი „ვაშა!“, გრიალებს ტაში და შეძახილები „მარადიული მეგობრობა!“

ნიკიტა სერგის-ძე გულითადად გადაეხვია ტოდორ ჟივკოვს, ანტონ იუგოვსა და ბულგარეთის სხვა ხელმძღვანელებს. პიონერებმა საბჭოთა სტუმრებს ყვავილთა თაიგულები მიართვეს. აეროდრომზე ყოერს საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახელმწიფო ჰიმნების მელოდიები. გრიალებს ერთა სალუტის 21 ზალპი. ჰაერში ჩაიქროლეს გამანადგურებლებმა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა, ტ. ჟივკოვმა და ა. იუგოვმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულს. შემდეგ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური მიესალმა ბულგარეთის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, საზოგადო მოღვაწეებს, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, მშრომელებს. აეროდრომზე ერთი წუთითაც არ ცხრება ტაში და მისალმების გულითადი შეძახილები.

ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, ტ. ჟივკოვი, ა. იუგოვი და ბულგარეთის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები ტრიბუნაზე ადიან. შეკრებილთა ტაშის გრიალში ტოდორ ჟივკოვი ამბობს სიტყვას.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც შეხვდნენ მქუხარე ოვაციითა და შეძახილებით: „მარადიული მეგობრობა!“, „სკკპ!“

საბჭოთა სტუმრები ბულგარელი ხელმძღვანელების თანხლებით მანქანებისაკენ მიდიან. მათ მხურვალედ და გულითადად უკრავს ტაშს ათასობით ადამიანი.

მთელ გზაზე აეროდრომიდან საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის რეზიდენციამდე საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს მხურვალედ სულით და გულით მიესალმებოდნენ ბულგარეთის დედაქალაქის მშრომელები, სტუდენტები, მოსწავლეები, სახალხო არმიის მეომრები.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის შეხვედრა გადაიქცა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მარადიული და ურღვევი მეგობრობის დემონსტრაციად.

გვირგვინეგით შემკოგა

სოფია, 14 მაისი. (საკდესი). როგორც ბულგარეთის დელეგაციის საგანგებო იუწყება, დღეს ნაშუადღევს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ გვირგვინებით შეამკო გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმი, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ ძმათა სასაფლაო და საბჭოთა არმიის მონუმენტი.

გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმი გვირგვინით შეამკო საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა. გვირგვინით შემკობის ცერემონიას დაესწრნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტოდორ ჟივკოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ბოიან ბილგარანოვი და ივანე მიხაილოვი და სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთში გ. ა. დენისოვი. წითელ ლენტზე ოქროსფერი ასოებით წარწერილია: „საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, ბულგარელი ხალხის დიდ შვილს გიორგი დიმიტროვს სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციისაგან. 1962 წლის მაისი“.

ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ ძმათა სასაფლაო გვირგვინით შეამკეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებმა გ. ი. პოპოვმა და ა. ნ. ტუპოლევმა, საბჭოთა არმიის მონუმენტი გვირგვინით შეამკეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებმა ა. ი. სნეჩკუსმა, ს. პ. პავლოვმა და ო. პ. კოლჩინამ.

მაისში—ფლიერი ვალდებულების 35 პროცენტი, მეჩაიეებო!

როგორ ასრულებთ თქვენ, ვალდებულებას?!

საუკეთესონი ელექტროენერგიის ეკონომიისათვის ლაშქრობაში

შეჯამებულია ელექტროენერგიის ეკონომიისა და სიმძლავრის კოეფიციენტის გადიდებისათვის რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგები.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს თბილისის კოტონის ფინდების ფაბრიკის, თბილისის საკონდიტრო კომბინატის, ამიერკავკასიის რკინიგზის, ავჭალის მინის ქარხნის კოლექტივები. ამ საწარმოებს გადაეცათ ფულადი პრემიები.

აღინიშნა აგრეთვე დიდი წარმატებანი თბილისის საწარმოების მიერ ელექტროენერგიის ეკონომიაში. ეს საწარმოებია სართავ-სატრიკოტაჟი და რძის კომბინატები, გამგისა და ჩაისსაწონი ფაბრიკები, ბორჯომის მინის ქარხანა და სხვ.

ამას გარდა, გამოვლინდა, რომ ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი გადაჭარბება აქვთ ჭიათურის მანგანუმის ტრესტის, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნისა და რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა საწარმოთა კოლექტივებს. (საკდესი).

ლენინური პრემიები ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს

მოსკოვი, 14 მაისი. (საკდესი). დღეს კრემლის სვერდლოვის დარბაზში საპატიო ნიშნები და დიპლომები გადაეცათ პ. უ. ბროვკას, კ. ი. ჩუკოვსკის, ვ. ბ. გილელსს, ლ. ე. კერბელს, რომლებსაც 1962 წლის ლენინური პრემიები მიენიჭათ.

საზეიმო გადაცემა გახსნა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ს. ტიხონოვმა, რომელმაც მსურვალედ მიულოცა საბჭოთა კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს.

ვ. ა. ფავორსკის, ავადმყოფობის გამო, პრემია გადაეცა დღეს მის ბინაში, ე. ბ. მეჟელაიტისს პრემია გადაეცემა მოგვიანებით.

ჩვენი სტუმრები

ტბილისი. რესპუბლიკის კულტურისა და ინფორმაციის სახელმწიფო მდივანი ბატონი შადლი კლები, რომელიც სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მოწვევით იმყოფება საბჭოთა კავშირში, 14 მაისს ტაშკენტიდან თბილისში ჩამოვიდა.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი თ. ბ. ბუაჩიძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გიგოშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარე კ. კ. გარდაფხაძე, საქართველოს დეპეშათა სააგენტოს — საქდესის დირექტორი ვ. ი. ჭიაურელი და სხვები.

ჩამოსვლის დღეს სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქი, იყვნენ ახალმშენებლობათა რაიონებში. შემდეგ ისინი ეწვივნენ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებას, სადაც შეხვდნენ ქართული კულტურის მოღვაწეებს. (საქდესი).

სურათზე: მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გაფართოებული პლენუმის მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): გურჯაანის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი მ. მექვევრიშვილი, ბოლნისის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსი ა. მამედოვი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე გ. სიგუა, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა, მახარაძის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური დ. ტაკიძე, პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მერი ქარდავას ახალი თაოსნობა

ფალენჯიხა. (საკ. კორ.). კარგად ახსოვთ „კომუნისტის“ მკითხველებს, რუხელ ნოვატორ-მეჩაიეს მერი ქარდავას რომ ახალი მისამართი გაუჩნდა—ფალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა. მერიმ ახალი მისამართი მიიღო, როცა იქორწინა და უნდა ვალში არ დარჩეს, იცის, რომ ჯვარის პატარძლობა, ახალი ოჯახის შექმნა მეტს ავალებს.

— შარშან ჩემმა თაოსნობამ — მომეკრიფა ნახევარი ტონით მეტი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ვიდრე წინა წელს, კარგი ნაყოფი გამოიღო, ამ თაოსნობით ქართველმა მეჩაიეებმა დიდი წარმატება მოიპოვეს. ახლა მიღწეულით დაკმაყოფილება საერთო საქმეს წინ ვერ წასწევს. სამშობლო ჩვენგან მეტ ხვავსა და ბარაქას, მეტ დოვლათს მოითხოვს. მიღწეული არ მაკმაყოფილებს. ვალდებულებას ვკისრულობ 0.4 ჰექტარი პლანტაციიდან მოკრიფოთ და სახელმწიფოს ჩავაბარო 6 ტონა „მწვანე ოქრო“, გასულ წელთან შედარებით 1 ტონით მეტი, — ამბობს ჯვარელთა სასიქადულო პატარძალი.

დილაადრიან, დაცვარული ჩაის ბუჩქები მზეზე რომ ლაპლაპებენ, ჭითოლს ჩავაბარებთ სახელმწიფოს. მეშობას ისე წარემართავთ, რომ ვალდებულებას პირველ სექტემბრამდე გავანაღდებთ.

ბ. ნაცვალაძე,
მახარაძის რაიონის ასკანის კოლმეურნეობის მოწინავე მერგოლური.

გუშინ პლანტაციებში

ცხაკაია. დაწინაურდა სოფელ ფოცხოს კოლმეურნეობა, რომელმაც 37 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ამ კოლმეურნეობის მეჩაიემ მაფაშა ქუთელიამ მოკრიფა 35 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული, სოფელ ზანის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში სოციალისტური შრომის გმირმა ტატიანა ტყეებუჩავამ — 70 კილოგრამი და დღიური ნორმა თითქმის სამმაგად შეასრულა. სოფელ ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“ მოწინავე მეჩაიემ გოგუცა გუგუნავამ მოკრიფა 50 კილოგრამი „მწვანე ოქრო“.

გეგეჭკორი. სოფელ ლეხინდრაოს კოლმეურნეობა „საქართველოში“ მ. ქიქავამ მოკრიფა 80 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, სულ მოკრეფილი აქვს 600 კილოგრამი, ლ. ბარქაიას — 1.000 კილოგრამი. მან ერთ დღეს მოკრიფა 225 კილოგრამი. სოფელ გაჭედილის კოლმეურნეობაში თ. წულაიამ მოკრიფა 164 კილოგრამი, სალხინოს კოლმეურნეობის წევრმა ბ. ლაზარიამ — 100 კილოგრამი. მას სულ მოკრეფილი აქვს 500 კილოგრამზე მეტი ჩაის ნედლეული.

თესვა დაამთავრეს

თერჯოლის რაიონის კოლმეურნეობებში საგაზაფხულო კულტურები 6.155 ჰექტარზე უნდა დათესოს. აქედან სიმინდი — 5.350 ჰექტარზე. რაიონის კოლმეურნეობებმა დროულად დაამთავრეს ბარდის თესვა. ახლა ითესება სიმინდის უკანასკნელი ჰექტარები. განსაკუთრებით დაწინაურდა სოფელ ალისუბნის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც თესვა უკვე დაამთავრა.

ტრაქტორისტები ი. კირკიტაძე, გ. ზარნაძე და ტ. ზარნაძე თესვის გეგმას ყოველდღიურად 120-140 პროცენტით ასრულებენ. თესვაში თავი ისახელეს კოლმეურნეებმა ვაჟა, ლენინ, და ვასო ბოჭორიშვილებმა.

სიმინდის თესვა წარმატებით მიმდინარეობს თუზის წერეთლის სახელობის კოლმეურნეობაში, ზედა საზანის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერში“, რუფოთის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში.

ვ. კუტალაძე.

პირობას გავანაღდებთ

ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი შევიდა თავის გადამწყვეტ სტადიაში. ჩვენი რეგოლის მეჩაიეებმა გადაწყვიტეთ ბუჩქებზე არ დავტოვოთ არც ერთი ლორტოქა დღეს! ამ მისწრაფებით იბრძვის რგოლის თვითეული წევრი.

მეზობელი ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს“ ცნობილი მეჩაიის ლეილა მაღულარიას ძვირფასი ინიციატივა ყოველმხრივ მხარდაჭერის ღირსია. ჩვენც გადავწყვიტეთ მაისში მოკრიფოთ წლიური ვალდებულების 35 პროცენტი.

რგოლში 6 მეჩაიე ვართ გაერთიანებული. გადაწყვეტილი გვაქვს თვითეულმა დავამზადოთ 5 ტონა ჩაის ნედლეული. სულ 30 ტონა ჩაის ფოთოლი ჩავაბარებთ სახელმწიფოს. მეშობას ისე წარემართავთ, რომ ვალდებულებას პირველ სექტემბრამდე გავანაღდებთ.

ბ. ნაცვალაძე,
მახარაძის რაიონის ასკანის კოლმეურნეობის მოწინავე მერგოლური.

მწვანე გარდის კონსერვები

ქუთაისი. (საკ. კორ.). საკონსერვო ქარხანამ დაიწყო ახალი მოსავლის პირველი პროდუქციის — ბარდის გადამუშავება.

საკონსერვო ბარდის კარგი მოსავალი მიიღეს დანედლეულის პირველი პარტია გადასამუშავებლად ჩაბარეს ქარხანას წყალტუბოს რაიონის სოფელ ოფეშვეთისა და ფარცხანაყანევის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობებმა.

მშვიდობის ძალები უძლეველია!

ტელეგრაფს ყოველდღიურად მოაქვს ცნობები წყნარ ოკეანეში ამერიკელების მიერ ატომური იარაღის გამოცდის შესახებ. კიბერნეტიკა საფრთხეშია.

მაგრამ უძლეველია მშვიდობისმოყვარე ადამიანთა ძალა. უძლეველია ხალხის ნება.

— არა! ომი არ გვინდა! ძირს იარაღი! შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდა— აი რას ამბობენ მსოფლიოს ყოველი ერის, ყოველი რასისა თუ ასაკის წარმომადგენლები..

სწორედ ამ სულისკვეთებით შეიკრიბნენ გუშინ რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის წევრები.

რესპუბლიკური კომიტეტის გაფართოებულ პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა.

— ომის საფრთხე კვლავ დასტრიალებს კაცობრიობას, — აღნიშნა მომხსენებელმა, — ომის გაჩაღებლებმა, ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურებმა აშკარად ჩამოიხსნეს ვითომდა მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა ნიღაბი და, მიუხედავად მთელი კაცობრიობის გულისწყრომისა, გამალებით აწარმოებენ ატომური იარაღის გამოცდას.

მომხსენებელმა ილაპარაკა მშვიდობის მომხრეთა იმ დიდ ძალებზე, რომლებიც გაერთიანებული არიან მშვიდობის მსოფლიო საბჭოსა და მისი ეროვნული კომიტეტების შემადგენლობაში, მათ მეშობაზე მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის და მათ ბრძოლაზე იმპერიალისტთა ზრახვების წინააღმდეგ.

— თუ დღემდე ომის ხანძარი არ მოედო ჩვენს პლანეტას — აღნიშნავს მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, — ამას კაცობრიობა უნდა უმადლოდეს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მომხრეთა ენერგიულ ბრძოლას.

მშვიდობის საბჭოს სესიის გადაწყვეტილებით წელს ივლისში მოსკოვში მოწვეულია საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესი, სადაც ხალხების წარმომადგენლებმა უნდა განიხილონ ყველა ის საკითხი, რაც ქმნის ხალხთა შორის დაძაბულ მდგომარეობას.

ახლა მთელ მსოფლიოში გაჩაღებულია კონგრესისათვის მზადება. ყველგან იმართება მიტინგები, კრებები. იწონებენ კონგრესზე გასახილველ საკითხებს. მიუხედავად იმპერიალისტების გაფფრებული წინააღმდეგობისა, მოსკოვის კონგრესზე სხვადასხვა ქვეყნიდან მონაწილეობას მიიღებს 2.000 დელეგატი. მსოფლიო კონგრესის მოსამზადებლად მშვიდობის საბჭოს სესიის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მშვიდობის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება 29-30 მაისს მოსკოვში მო-

(დასასრული მე-8 გვერდზე)



პარტიული ცხოვრება

ორგანიზებულად დავამთავროთ

სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში

მიმდინარე წელს პარტიული განათლების ქსელის ყველა რგოლში სწავლობენ სკკპ XXII ყრილობის მასალებს. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ იმისთვის, რომ პროგრამებით გათვალისწინებული ყველა თემა შესწავლილ იქნას წლის ბოლომდე. პარტიულმა კომიტეტებმა უნდა მოიფიქრონ, როგორ გააკეთონ ეს თვითეულ შემთხვევაში, და მიიღონ ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო გეგმების შესრულებას.

ისევე როგორც წინა წლებში, პოლიტსკოლებში, წრეებსა და სემინარებში დასასრულ გაიმართება ერთი-ორი შემაჯამებელი მეცადინეობა განვლილ მასალაზე გასაუბრების ფორმით. ამასთან ერთად ბევრ პარტორგანიზაციაში ვარაუდობენ გამართონ პოლიტიკური განათლების ქსელის მსმენელთა საქალაქო, რაიონული, საქარხნო და საერთო-საკოლმეურნეო თეორიული კონფერენციები.

შემაჯამებელი მეცადინეობა და თეორიული კონფერენციები გაიმართება კომუნისტური მშენებლობის აქტუალურ პრობლემებზე აზრთა ცოცხალი შემოქმედებითი ურთიერთგაზიარების ფორმით. საჭიროა, რომ ამასთან მთავარი ყურადღება მიექცეს მშრომელთა თვითეული კოლექტივის იმ კონკრეტული ამოცანების განხილვას, რომელიც XXII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ, წარმოების განვითარების, პროდუქციის გადიდების, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების, შრომის ორგანიზაციის სრულყოფის ძირითადი საკითხების განხილვას. სასოფლო პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ფართოდ გამოიყენონ პოლიტიკური განათლების ქსელში შემაჯამებელი მეცადინეობა იმ მიზნით, რომ დარაზმონ მშრომელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, მინდვრის სამუშაოების წარმატებით ჩასატარებლად, მიწის რაციონალურად გამოსაყენებლად, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ასამაღლებლად, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უკეთ გამოსაყენებლად.

შემაჯამებელი მეცადინეობა და თეორიული კონფერენციები მით უფრო წარმატებით ჩაივლის, მით უფრო მეტ ეფექტს მოგვცემს, რაც უფრო გულმოდგინედ იქნება ისინი მომზადებული. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან დროულად გაუწიონ ინსტრუქტაჟი პროპაგანდისტებს, აქტივს, შეიმუშაონ დაწვრილებითი რეკომენდაციები ამის თაობაზე.

სასწავლო წლის შედეგები მიზანშეწონილია განხილულ იქნას პირველადი ორგანიზაციების კრებებზე, პარტიული კომიტეტების სხდომებზე, პროპაგანდისტთა საქალაქო და რაიონულ თათბირებზე. ისინიც კარგად უნდა მოვამზადოთ, რათა ყოველმხრივ განვიხილოთ და ღრმა ანალიზი გავუკეთოთ მიმდინარე სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების სისტემის მუშაობის შედეგებს, მხედველობაში მივიღოთ ყველა პლუსი და მინუსი და გავაკეთოთ საჭირო დასკვნები მომავლისათვის. ამავე დროს საჭიროა დავსახოთ ღონისძიებანი ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად და მაშინვე შევუდგეთ მათს განხორციელებას.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადაც ვარ, რომ ვიჩაღებთ, საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ კომუნისტური მშენებლობისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის იმ პრობლემების შესწავლა, რომლებიც წამოყენებულია XXII ყრილობის გადაწყვეტილებებში, სკკპ ახალ პროგრამაში, შემდეგში გაღრმავებულად და დიფერენცირებულად იწარმოებს პარტიის ისტორიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტიკური ეკონომიისა და კონკრეტული ეკონომიკის წრეებსა და სემინარებში და სხვებში შესაბამისი საგნების შესწავლასთან მჭიდრო კავშირით, ახალი სასწავლო პროგრამებით, რომლებიც შემუშავებული იქნება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია თეორიასა და პრაქტიკაში სტალინის პიროვნების კულტის მავნე შედეგების საბოლოო დაძლევასთან, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების სრულად აღდგენასა და ზუსტად დაცვასთან.

მიმდინარე სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების სისტემაში მილიონობით უპარტიო მუშა, კოლმეურნე და მოსამსახურე ჩაება. საჭიროა გულდასმით განვაზოგადოთ უპარტიო მსმენელებთან მუშაობის გამოცდილება, მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ისინი პოლიტგანათლების სისტემაში. ამისათვის საჭიროა გასული წლების გამოცდილების გათვალისწინებით მოვიფიქროთ და თვითეულ კონკრეტულ შემთხვევაში სწორად გადავჭრათ უპარტიო მშრომელთა პოლიტიკური სწავლების ორგანიზაციის იმ ფორმების გამოყენების საკითხი, რომლებმაც ყველაზე მეტად გაამართლა თავისი დანიშნულება.

ბევრ პარტორგანიზაციაში პოლიტიკურ მეცადინეობას წარმატებით ახორციელებენ წარმოების კონკრეტული ეკონომიკის, ტექნიკური მინიმუმის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში მოწინავე გამოცდილების შესწავლასთან. ეს გამოცდილება ყოველნაირი მხარდაჭერის ღირსია და ამით ყველა პარტიული ორგანიზაცია უნდა შეიარაღდეს. ახალი სასწავლო წლისათვის რომ ემზადებიან, პარტიულმა კომიტეტებმა უნდა მოიფიქრონ და მიიღონ საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ მუშაკთა საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლება კადრების მომზადებისა და გადამზადების კურსებზე, მოწინავე გამოცდილების სკოლებში, აგროზოოტექნიკურ წრეებში და სხვ. კიდევ უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდეს ადამიანთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ამოცანების გადაჭრას. ამ მიზნით ასეთ კურსებზე და ასეთ სკოლებში სახარგებლოა შემოვიღოთ საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხების შესწავლა დამხმარე წიგნის „პოლიტიკური ცოდნის საფუძვლების“ ბაზაზე.

პოლიტიკური განათლების სისტემის მუშაობის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად იქნება დაკომპლექტებული წრეები და სემინარები. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან უაღრესად სერიოზული ყურადღება დაუთმონ ამ საქმეს, ზუსტად იხელმძღვანელონ „თანამედროვე პიროვნებებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მითითებით. ამ დადგენილებაში, როგორც ცნობილია, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ პოლიტიკური განათლების სისტემაში სიმძიმის ცენტრი გადატანილ უნდა იქნას პოლიტიკურ თვითგანათლებაზე, როგორც მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების ძირითად მეთოდზე, რომელმაც მთლიანად გაამართლა თავისი დანიშნულება.

პოლიტიკური სწავლების ფორმების განსაზღვრისას პარტორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ნებაყოფლობითი პრინციპის უსასტიკესად დაცვა, გადაჭრით აღმოფხვრან პოლიტიკურ და ეკონომიურ სკოლებში, წრეებსა და სემინარებში კომუნისტებისა და უპარტიოების ხელაღებით, მსმენელთა სურვილისა და მოთხოვნილებებისათვის ანგარიშის გაუწევლად ჩარიცხვის ფაქტები, რომლებსაც წარსულში აქა-იქ ვხვდებოდით.

მომავალ სასწავლო წელს, ისევე როგორც წინათ, მთავარი ყურადღება მიექცევა კომუნიზმის მშენებლობის ეკონომიური პრობლემების შესწავლას. ამასთან ერთად პარტორგანიზაციებს მოეთხოვებათ კომუნისტებსა და უპარტიოებში გასწორონ შესაბამისი ახსნა-განმარტებითი მუშაობა პარტიის ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, მეცნიერული კომუნიზმის თეორიის გაღრმავებული შესწავლის აუცილებლობის შესახებ.

უკვე ახლა უნდა გავითვალისწინოთ საჭირო ღონისძიებანი პროპაგანდისტთა კადრების შერჩევისა და მომზადებისათვის, ვინაიდან უწინარეს ყოვლისა ამაზე იქნება დამოკიდებული მასების პოლიტიკური განათლებისათვის მთელი მუშაობის წარმატება.

წრეებსა და სემინარების ხელმძღვანელობაში ფართოდ უნდა ჩავაბათ პროპაგანდისტთა ერთწლიანი დაუსწრებელი კურსების, მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტების კურსდამთავრებულნი, სპეციალისტები, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ხელმძღვანელი მუშაკები.

ზაფხული მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ყველა პარტორგანიზაციაში შეექმნათ პროპაგანდისტთა კადრების საჭირო რეზერვი. აგრეთვე წრეებისა და სემინარების ხელმძღვანელთა გადამზადებისათვის, ვიზრუნოთ მათი ცოდნის შევსებისათვის, მეთოდურ ოსტატობაში მათი დახელოვნებისათვის.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან მიიღონ ზომები იმისათვის, რომ პარტიული განათლების ქსელის მუშაობის დროებით შეწყვეტით არ შესუსტდეს სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა და სკკპ პროგრამის პროპაგანდა. ამ დოკუმენტების ახსნა-განმარტება, პოლიტიკური მუშაობა მშრომელთა შორის ფართოდ უნდა წარმოებდეს ზაფხულშიც. ამისათვის თვითეულ პარტორგანიზაციაში საჭირო შემუშავებულ იქნას ზაფხულის პერიოდისათვის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის კონკრეტული გეგმები, გათვალისწინებულ იქნას ამ გეგმებში ლექციების, მოხსენებების, საუბრების, კითხვა-პასუხის საღამოების, თეორიულ და მკითხველთა კონფერენციების და სხვ. მოწყობა.

დროზე გაშალონ და გაუმჯობესონ იდეოლოგიური მუშაობა, აამაღლონ მისი ეფექტიანობა — ეს არის პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი მოვალეობა.



ПАРТИЙНАЯ ЖИЗНЬ

ჟურნალიდან „პარტიინაია ჟიზნ“ № 8.

თბილისის ქიმია-ფარმაცევტული ქარხნის კოლექტივი (დირექტორი დ. ჯაფარიძე) დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ძვირფასი სამკურნალო მედიკამენტების შექმნისათვის. დღეისათვის აქ 70 დასახელების მედიკამენტს ამზადებენ. ფარმაკოქიმიკოსების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ოთხი თვის დავალება 111,3 პროცენტით შეასრულეს, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 10 პროცენტით აამაღლეს, ხოლო გამომშვებული პროდუქციის თვითღირებულება 8 ათასი მანეთით შეამცირეს.

წარმოებაში გონივრული შრომით გამოირჩევიან სტაბალეტო-საფასოვო საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნატალია ბერბიჭაშვილი, ნანა ზამბახიძე და ლამარა ნაცვლიშვილი, რომლებიც დავალებას 120-125 პროცენტით ასრულებენ.

სურათზე: ნ. ბერბიჭაშვილი (მარჯვნივ), ნ. ზამბახიძე და ლ. ნაცვლიშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

გერმანე ტიტოვი მოსკოვს დაგრუნდა

მოსკოვი, 13 მაისი (საკუთ.). გუშინ ბოლოს ამერიკიდან მოსკოვს დაბრუნდა კოსმონავტი მეორე მაგრინავი გ. ს. ტიტოვი, რომელიც მონაწილეობდა კოსმოსური სივრცის კვლევის საერთაშორისო კომიტეტის სესიაში, რომელიც [illegible] ამერიკის შეერთებულ შტატებსა და [illegible] საბჭოთა მეცნიერების [illegible] საერთაშორისო კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობდნენ.

დედაქალაქის სცენაზე — საუკეთესო საგვიანო თეატრები

მოსკოვი, 12 მაისი. (საკუთ.). გუშინ მოსკოველი მოსწავლეები ორჯერ იყვნენ კრემლის თეატრში. დილით მათ ნახეს ვ. ბელოზერეროვის პიესა „საზღვარზე“, რომელიც ასახავს, თუ როგორ ებრძვიან პიონერები მესაზღვრეებს, ხოლო საღამოს — გოგოლის უკვდავი კომედია „რევიზორი“. ბელორუსიის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობთა ამ სპექტაკლებით დაიწყო ეროვნული რესპუბლიკების მოზარდ მაყურებელთა თეატრების სრულიად საკავშირო დათვალიერების დასკვნითი ჩენება, მიძღვნილი სრულიად საკავშირო ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავისადმი.

დედაქალაქის სცენაზე თავიანთ საუკეთესო ნამუშევრებს უჩვენებენ სომხეთის, უკრაინის, ლატვიის, საქართველოს და სხვა რესპუბლიკების მოზარდ მაყურებელთა თეატრები.

მოსკოველები ნახავენ ვ. გოგოლაშვილის პიესას „წერილებს“, მიძღვნილს მშვიდობისათვის ბრძოლისადმი, ლ. მალიუგინის პიესას — „გოგონები-ბიჭუნები“ მეათეკლასელების შესახებ და სხვ.

„მეხუთე კოლონა“ თეატრ „თანამედროვეში“

მოსკოვი, 12 მაისი. (საკუთ. კორ.). ამას წინათ თეატრ „თანამედროვეში“ გაიმართა ე. ჰემინგუეის პიესის „მეხუთე კოლონის“ პრემიერა. სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ. სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა დ. თაყაიშვილმა.

პრემიერას დიდი წარმატება ჰქონდა. მაყურებელმა მკუხარე ტაშით მოავალა გზის გამოძახება სცენაზე სპექტაკლის დამდგმელები და მთავარი როლების შემსრულებელნი.

საბჭოთა ქრონიკა

მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების სესიებზე

ქედის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს სესიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სესიამ ამხ. ვ. ნაკაშიძე გაათავისუფლა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

ქედის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ სესიამ აირჩია ამხ. ა. თავდგირიძე.

სამგორის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს სესიამ ამხ. გ. დევდარიანი გაათავისუფლა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სამგორის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ სესიამ აირჩია ამხ. დ. დათუაშვილი.

ხაშურის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს სესიამ, რომელიც ამ დღეებში შედგა, ამხ. ნ. გრიგალაშვილი მოხსნა მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პოსტიდან.

ხაშურის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ბ. მაისაშვილი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მარტო პროექტი საქმეს უშველის?!“

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ კრიტიკულ წერილში მხილებული იყო ტყიბულქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს უფროსი ამხ. დ. ჩიკაპაიძე გვაცნობებს:

ტყიბულქვანახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკაში გამამდიდრების ნარჩენების დასაწყობების არსებული მექანიზაცია ნამდვილად არ არის სრულყოფილი და გუმჯობესებას საჭიროებს, თუმცა ეს საკითხი ფაბრიკის მუშაობაში სერიოზულ ვიწრო ადგილად არ ითვლება.

საკითხის უფრო ეფექტური და ეკონომიური გადაწყვეტისათვის გათვალისწინებულია მოეწყოს ნარჩენების საჰაერო-საბაგირო გზით გადაზიდვა. იმის გამო, რომ ახლო მომავალში მოხდება ტყიბულქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის საერთო რეკონსტრუქცია, ნარჩენების საბაგირო გზით გადაზიდვის საკითხი შეტანილია რეკონსტრუქციის კომპლექსში.

ПОЛИТИНФОРМАЦИИЗ ЕРТИАНИ ДЦЕ

რუსთავი. (საკ. კორ.). საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა, რომელიც საფუძვლიანად გაეცნო პარტიის ომსკის საქალაქო კომიტეტის ინიციატივას, მიიღო გადაწყვეტილება ქალაქში შემოიღოს პოლიტინფორმაციის ერთიანი დღე.

პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში ამ სიახლის მიზანია დაამყაროს მჭიდრო კავშირი ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკებსა და მშრომელთა ფართო მასებს შორის.

და აი პარტიის საქალაქო კომიტეტმა და საწარმო-დაწესებულებათა პარტიულმა ორგანიზაციებმა გამოყვეს პოლიტინფორმატორები. ეს საქმე ძირითადად დაევალათ პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრებს, ავტორიტეტულ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებს.

პოლიტინფორმაციის ერთიანი პირველი დღე 10 მაისი იყო. გადაწყდა შემდეგ ასეთი დღეები მოეწყოს კვირაში ერთხელ — ხუთშაბათობით.

პოლიტინფორმატორებმა პირველ დღეს შემდეგ საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია და მისი ისტორიული მნიშვნელობა“, „პარტია და ხალხი ერთიანია“, „ხელოვნური თანამგზავრების — „კოსმოს-3“ და „კოსმოს-4“ წარმატებით გაშვება“, „პრავდის“ 50 წლისთავი“, „ნატო“ და „ატომი“, „შვიდწლეულის ერთი საათი“ და სხვ.

— პოლიტინფორმაციის თემა, — განაცხადა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანმა შ. თითბერიძემ, — იქნება იმ მნიშვნელოვანი მოვლენების გაშუქება, რაც მოხდება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ერთი კვირის მანძილზე. პოლიტინფორმატორები თავიანთი საუბრების დროს დააყენებენ, აგრეთვე საკითხებს, რომლებიც შეეხება ამა თუ იმ საწარმოს წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

ცხადია, პოლიტინფორმაციის ჩატარების დროს მსმენელებს დაებადებათ არა ერთი და ორი კითხვა. ისინი წამოაყენებენ მათთვის საჭირბოროტო საკითხებსაც. ამ შემთხვევაში პოლიტინფორმატორი იქნე გასცემს პასუხს და საკითხების მოგვარების უზრუნველსაყოფად საქმის კურსში შეიყვანს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელ მუშაკებს.

ერთიანი პოლიტინფორმაციის პირველი დღე წარმატებით ჩატარდა მეტალურგიულ, ქიმიურ და ცემენტის ქარხნებში, ბევრ სხვა საწარმო-დაწესებულებაში.

ეს სიახლე პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში, რაც რესპუბლიკაში პირველად ეწყობა, ყურადღებისა და მხარდაჭერის ღირსია.

თეორიული კონფერენცია

ჟუთაისი. (საკ. კორ.). პარტიის საქალაქო კომიტეტმა და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საქალაქო განყოფილებამ ამ დღეებში მოაწყვეს თეორიული კონფერენცია თემაზე: „კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანაა“.

კონფერენციებზე მოსმენილ იქნა მოხსენებები: შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება დიდმნიშვნელოვანი ეტაპია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში“, „შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ტექნიკური პროგრესის „ორ ფეხზე“ ყოფნა“, „მრეწველობის განვითარება და მისი როლი კომუნისტური საზოგადოების საწარმოო ძალების შექმნაში“, „სოფლის მეურნეობის განვითარება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემადგენელი ნაწილია“.

მოხსენებები წაიკითხეს ქალაქის მე-20 საშუალო სკოლის მასწავლებელმა კ. გენძეხაძემ, № 3 ავტოსატრანსპორტო ტრესტის ეკონომისტმა ა. გაბელიან, მაუდის ფაბრიკის ოსტატმა შ. ლომიძემ, № 4 სამკერვალო ფაბრიკის მუშამ ბ. დვალიშვილმა.

სარესპუბლიკათაშორისო სემინარი-თათბირი

დამთავრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებათა სემინარი-თათბირი თემაზე „ლიტერატურისა და ხელოვნების როლი მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში“. სემინარი-თათბირი, რომელიც ხუთ დღეს გრძელდებოდა, მოაწყეს საბჭოთა კავშირის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სს რესპუბლიკების პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებათა გამგეობებმა.

სემინარ-თათბირზე მოისმინეს და განიხილეს მოხსენებები: საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობასთან არსებული ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხთა სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. ახვლედიანის, აზერბაიჯანის სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობასთან არსებული ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხთა სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარის, ბაქოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტის გ. ისაბეკიანისა — „თანამედროვე საბჭოთა არქიტექტურის ამოცანები და მიმართულებანი“, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის მ. ნაჯაფოვისა — „ამერკავკასიის ხალხთა სახვითი ხელოვნების საერთო და განმასხვავებელი თავისებურებანი“, კრიტიკოს ი. ხანიერნისა — „თანამედროვე კინოს ძიებანი“ და სხვა.

მოისმინეს აგრეთვე საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობასთან არსებული ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხთა სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. ახვლედიანის, აზერბაიჯანის სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობასთან არსებული ხელოვნებათმცოდნეობის საკითხთა სექციის თავმჯდომარის, აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტის ა. ბადალბეილის, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის მ. არუთინიანის თანამოხსენებანი.

სემინარი-თათბირი დამთავრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მსახიობთა კონცერტით, საბჭოთა კინოფილმების გასინჯვით.

სემინარი-თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ძოწენიძემ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ. (საკ. ინ.).

ვაზის ბარაქა

ციგვოიგორიდან ხელისგულივით მოჩანს კახეთის სიმაყე — ალაზნის ველი. ამ მაღლიან მიწაზე ზღაპრულ ხალიჩასავით ბრწყინავს ბალ-ვენახებით მოქარგული მიწა, რომელსაც შნოსა და სილამაზეს აძლევს მზეზე მოლაპლაპე მდინარე ალაზანი.

მთელ ველს მუდიდურად დაჰყურებს თოვლიანი კავკასიონი, რომლის კალთებზე მოჩანს მწვანეში ჩაფლული კოპწია სოფლები.

ქალაქ თელავში ვართ. ნადიკვრიდან თვალწინ გადაშლილა ნითელი აგურით ლამაზად ნაშენი ორსართულიანი სახლებით დამშვენებული სოფლები. გინდა ყველა შემოიარო, მაგრამ ვერ გადაგიწყვეტია პირველად რომელს ეწვიო.

ამჯერად სოფელი სანიორე ავირჩიეთ. მანქანა ალაზნისაკენ მიჰქრის. გზის ორივე მხარეს ლამაზი ხეივანია, ნაადრევ გაზაფხულს არგალივე ყველფერი გაფურჩქნია. „მინდვრის დედოფალი“ გასამყურებელა. ავ თვალს არ ენახვება, ისე ლამაზია კახეთის სიმდერე — ადრე გაფურჩქნული ვენახი. გზა უცბათ დაილია. მანქანა კულტურის ლამაზი სახლის წინ გაჩერდა. იქვე რამდენიმე მოხუცი ჩამომჯდარა, ტკბილად საუბრობენ.

— კოლმეურნეობის თავმჯდომარეს სად ვნახავთ? — ვეკითხებით.

შეკვატყე გაუკვირდათ ჩვენი შეკითხვა. შემდეგ ერთი მათგანი წამოდგა, გაგვიღიმა და ჩვიპასუხა:

— ამ დროს თავმჯდომარეს აქ რა უნდა, ბრიგადებშია წასული.

— რა კარგი კულტურის სახლი აუშენებიათ, ალბათ დიდ ტვირთად დაადგა კოლმეურნეობას? — ჩაილაპარაკა ერთმა ჩვენგანმა.

არც ეს ესიამოვნა მოხუცს. კვლავ ოარაზრონად გაიღიმა, მერე ჩიბეხში თუთუნი თითით ჩატენა და, სანამ ასანთს მოუკიდებდა, პასუხი გაგვცა:

— შეძლება გვაქვს, შვილო, და იმიტომ აკაშენეთ, გეტყობათ, კარგად არ იცნობთ ჩვენს კოლმეურნეობას...

ადრე, ცხრა წლის წინათ რომ გეკითხა, ახლაც ისე ხომ არ გგონიათ. მაშინ მართლა არ შეგეძლო ასეთი დიდი საქმისათვის მოგვეკიდა ხელი. კულტურის სახლი კი არა, პირუტყვის საგომებიც არა გვქონდა. გაქეთილ ბატეხილი სჯობს — ყურადღებას ნაკლებად გაქცევდნენ. ყველა იმას აკეთებდა, რაც მოესურვებოდა. ახლა კი სულ სხვა მდგომარეობაა. ხელშეწყობაც კარგი გვაქვს, შრომაც კარგად გვინაზღაურდება და ჩვენც ხალისიანად ვმუშაობთ.

— ჩვენებური კლუბი დასაბამიდან ვაზით ირჩენდა თავს, — საუბარში ჩაერია მეორე კოლმეურნე — მით ჰამდლუკმაპატს, მაგრამ ვენახის გაფართოებისათვის არავინ ზრუნავდა. პირიქით, რაც გვქონდა, ისიც მეჩხერი იყო, წესერად ვერ ეფლვიდით. ცხადია, ასეთ პირობებში შემოსავალი მცირე გვქონდა, დღეს კი სულ სხვა მდგომარეობაა, კოლმეურნეობის შემოსავალი დიდად გაიზარდა, და ჩვენც შეძლებულად ვცხოვრობთ, როგორც ხედავთ. კულტურის სახლი ავაშენეთ!.. კიდევ ბევრი რამ გვაქვს წამოწყებული.

ამ საუბარში კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. მარგალიტაშვილიც მოვიდა.

გვინდოდა ზოგიერთ საჭირბოროტო საკითხზე გვესაუბრა, მაგრამ არ გვაცალა.

— ჯერ საკოლმეურნეო მინდვრები, ვენახები, ფერმები დავათვალიეროთ. ნახეთ, რას ვაკეთებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, გაეცანით როგორ ცხოვრობენ ჩვენი კოლმეურნეები, — გვითხრა და ნაკვეთებისაკენ გაგვიძღვა.

ვავლენით შარაგზას. ვნახეთ ლამაზად მოწყობილი ეზოები და გემოვნებით აშენებული სახლები. იშვიათად შეხვდებით ერთსართულიან ენახს. უკანასკნელ წლებში მთლიანად შეცვლილა სოფელი სანიორე.

დავათვალიერეთ სიმინდის ნათესები, ვენახები. ყველაფერი საგულდაგულოდ არის დამუშავებული.

ვენახებში საგაზაფხულო სამუშაოები დროულად შეესრულებიათ, ამჯერად გასაკეთებელი არაფერი აქვთ, მთელ ფართობზე იშვიათად თუ შეხვდებით კოლმეურნეს. ერთ-ერთ ნაკვეთში რომ შევედით, ადამიანის ხმა შემოგვესმა:

—ჰეი, ვინა ხართ? ფრთხილად გაიარეთ, ვაზი ყვავილობაშია, არ დაიბინოთ!

ნაადრევი გაზაფხული ვაზსაც უგრძვნია, ვადაზე ადრე დაუწყია ყვავილობა.

ის კაცი მევენახეობის მეორე ბრიგადის ხელმძღვანელი ალექსანდრე საქუთაშვილი აღმოჩნდა. გაგვეცინა, მოიბოდიშა, უცხო მეგონეთ, უზრდელობაში ნუ ჩამომანთმეცთო!..

—შარშან ჰექტარზე რამდენი ცენტნერი აყორეთ? — შევეკითხეთ ბრიგადირს.

— 97 ცენტნერი! — გვიპასუხა ამაყად. შემდეგ გადახედა ზვრებს, თითქოს დათვალა, რამდენი ძირი ვაზია, და განაგრძო: უკანასკნელ წლებში თითქმის ყოველწლიურად ვზრდით მოსავლიანობას. მართალია, ზოგჯერ ბუნება ხელს არ გვიწყობს, ასე ვთქვათ გვიწყრება. ნამი რა არის, იმასაც არ იმეტებს. მაგრამ თუ კაცი მონდომებულ, ყველაფერს ეშველება. შარშან ბუნების სიჯიუტეს დიდი წინააღმდეგობა გავუწიეთ და 33 ჰექტარზე აყორნის მაღალი მოსავალი მივიღეთ.

ვენახებიდან, საშემოდგომო და საგაზაფხულო ნათესებიდან, ფერმების დათვალიერების შემდეგ ინტერესმოკლებული როდია კოლმეურნეობის ეკონომიკის გაცნობა.

აი რა გვიამბო კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. მარგალიტაშვილმა:

— პირადად მე, როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ვერ ვეგუებოდი იმ ფაქტს, რომ ერთნაირ ნაკვეთებზე ზოგიერთ ბრიგადას მაღალი მოსავალი მოჰყავდა, ზოგიერთი კი, შეიძლება ითქვას — მიწას აცდენდა. ცხადია, ერთეულებს მიერ მოყვანილი მაღალი მოსავალი კოლმეურნეობის ხვავსა და ბარაქას ვერას გვარფერს მატებდა, არტელის შემოსავალიც მცირე იყო, შრომაღლის ხვედრიც უმნიშვნელო. კოლმეურნეები უკმაყოფილნი იყვნენ, სამუშაოზე არ გამოდიოდნენ. ეს იყო 1953 წლის სექტემბრის პლენუმამდე.

ღიდი მუშაობის შედეგად ჩვენ შეეძლინ სამუშაოზე გამოგვეყვანა ყველა კოლმეურნე, მტკიცე კონტროლი დაგვესეთ სამუშაოებზე თავის დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. ბრძოლა გამოვუცხადეთ მუქთახორებსა და მტაცებლებს. კოლმეურნეობის პარტიულ აქტივს დღედაღამ არ ეძინა, იმისათვის, რომ მუშაობაში ხელი არავის შეეშალა. სოფლის მეურნეობა აღმავლობისათვის ლამქრობის პირველ წელს ვე ყველა კულტურის მაღალი მოსავალი მივიღეთ. გაზარდა კოლმეურნეობის შემოსავალი, კოლმეურნეებმა შრომადღეზე საკმარისი რაოდენობით მიიღეს პროდუქტები და ფული. შემდეგ წლებში თითქმის სისტემატურად ეზრდიდით კოლმეურნეობის ხვავსა და ბარაქას.

1959 წლისათვის ჩვენს კოლმეურნეობაში იმდენად ამაღლდა კოლმეურნეთა პასუხისმგებლობა და გაიზარდა შრომისადმი სიყვარული, რომ ყველა ბრიგადასა და ოჯახს თითქმის თანაბარი მოსავალი მოჰყავდა. თუ ცხრა წლის წინათ ყურძნის საშუალო მოსავლიანობა 40 ცენტნერს და სიმინდისა — 10 ცენტნერს არ აღემატებოდა, 1959 წლისათვის ყურძნის საშუალო მოსავლიანობა აკიყვანეთ 81 ცენტნერამდე, ხოლო სიმინდის მოსავლიანობამ 36 ცენტნერს გადააჭარბა. მონდომება და შრომის სიყვარული იმდენად ძლიერი იყო, რომ ხშირად ვძლევდით ბუნების სიჯიუტეს და გვალვის დროსაც საშუალო მოსავალს ვიღებდით.

ა. მარგალიტაშვილი

გავ

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“

— ამბობენ ბულგარელები

სოფია, 14 მაისი. საკდესის სპეც. კორესპონდენტი დ. ბოჩაროვი იუწყება: ბულგარეთის ყველა გაზეთი დღეს სადღესასწაულოდ გაფორმებული გამოვიდა. პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია ნიკიტა სერგოს ძე ხრუშჩოვის მოკლე ბიოგრაფია და პორტრეტები, მოწინავე და სარედაქციო სტატიები და სხვა მასალები, რომლებიც მიძღვნილია ბულგარეთში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ჩამოსვლისადმი, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობისადმი.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო ნიკიტა სერგოს-ძევ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ლვიძლო ძმებო!“ — მხურვალედ მიესალმება სასუფველ სტუმრებს „რაბოტნიჩესკო დელო“ და სხვა გაზეთები

ქალაქებისა და სოფლების მშრომელები, მთელი ჩვენი ხალხი აღფრთოვანებით, უდიდესი სიხარულით ეგებება საბჭოთა სტუმრებს, წერს „რაბოტნიჩესკო დელო“. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა ჩვენი ქვეყნისათვის, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის შემდგომი განვითარებისათვის, სოციალისტური ბანაკის ერთობისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის.

ბულგარეთის კომუნისტური პარტია და ბულგარელი ხალხი, ხაზს უსვამს გაზეთი, უსაზღვროდ მადლობელი არიან ლენინური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა ჩვენი ქვეყნის განვითარების პრობლემათა გადაჭრაში უასდაუდებელი დახმარებისათვის.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი, განაგრძობს გაზეთი,—ნამდვილი დღესასწაულია ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის. ამ ვიზიტმა პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია ყველა მშრომელში და გადაიქცევა ბულგარელი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთობის მკაფიო მანიფესტაციად.

ჩვენი მეგობრობა ურყევია, წერს გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი“. იგი განმტკიცებულია გმირების მსხვერპლით, მჭიდროდ დაკავშირებულია პროლეტარიატის გაბედულებულ მოძღვრების დიადი იდეებით, ხორცშეს ხმულია მტკიცე პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობით.

ჩვენ გვიყვარს საბჭოთა ქვეყანა, გვიყვარს საბჭოთა ხალხი და ლენინის დიადი პარტია, წერს სარედაქციო სტატიაში გაზეთი „ზემედელსკო ზნამე“. ბულგარელი ხალხისათვის საბჭოთა კავშირთან მეგობრობა გულწრფელი ინტერნაციონალური გრძნობების უბრალო გამოხატულება კი არ არის, არამედ, აგრეთვე საბჭოთა კავშირისადმი ჩვენი ადამიანების სიყვარულისა და ერთგულების გამოხატულებაა. ეს ჩვენი ეროვნული ბედი, ჩვენი ღირსება, ჩვენი ბედნიერებაა.

მშვიდობის ძალები უძლეველია!

(დასასრული)

იწვიოს საბჭოთა საზოგადოებრიობის კონფერენცია, რომელიც განიხილავს მშვიდობისა და განიარაღების საკითხებს, აირჩევს დელეგატებს მსოფლიო კონგრესზე.

პლენუმზე გამოსულმა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრმა პოეტმა-აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ აღნიშნა:

— ქართველი ხალხი, როგორც მშვიდობის მოტრფიალე, დიდ იმედებს ამყარებს მოსკოვის საერთაშორისო კონგრესზე. ქართველი ინტელიგენცია, ქართველი მწერლობა მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად მხურვალედ მიესალმება ამ კონგრესის მოწვევას.

პლენუმზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. ხარაძემ, დოცენტმა ვ. ჩუკოვმა, სტუდენტმა ტ. ბუკამ. პლენუმის მონაწილეთათვის საქართველოს კათოლიკოს ეფრემის მიერ გამოგზავნილი მისასალმებელი წერილი წაიკითხა ეპისკოპოსმა ლეონიდემ.

პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს მშვიდობის მომხრეები ერთსულოვნად უპერულ მხარს განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის მოწვევას მოსკოვში.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება გაფართოოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის შემადგენლობა, აგრეთვე აირჩია საკავშირო კონფერენციის დელეგატები.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეთა სრულიად საკავშირო კონფერენციის (რომელიც მაისში გაიმართება) დელეგატებად პლენუმმა აირჩია სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა, საქართველოს სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე, პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. კვაჭაძე, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ლელაშვილი, პოეტი გ. აბაშიძე, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ო. ჩერქეზიანი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ჯაფარიძე, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე ბ. შელია და მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი თ. დონეაშვილი.

მშვიდობა ყოველი პატიოსანი ადამიანის გულისთქმა და გულისწყვეტილია. შრომა და მშვიდობა! — ამ დევიზით იბრძვიან და იმარჯვებენ საბჭოთა ადამიანები კომუნიზმის მშენებლობის ყველა ფრონტზე. მშვიდობიან შრომაში ხედავენ ისინი ჩვენი და მომავალი თაობების ბედნიერების წყაროს.

ამბომაც შეხვდა ასეთი აღშფოთებით მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი ცნობას იმის შესახებ, რომ შეერთებულმა შტატებმა განაახლეს ატომური იარაღის გამოცდა ატმოსფეროში. მთელი საბჭოთა ხალხის გულისწყრომას თავიანთ ხმას უერთებენ საქართველოს მშრომელები. ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებსა და დაწესებულებებში, იმართება ხალხმრავალი მიტინგები, რომლებზეც მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები სასტიკ პროტესტს აცხადებენ ამერიკელ ომის გამჩაღებელთა მოქმედების წინააღმდეგ.

— მსოფლიოს ხალხებს მშვიდობა სურთ, ისინი არ დაუშვებენ ომს. ხიროსიმის ტრაგედია არ გამეორდება! — მტკიცე რწმენით აცხადებენ ამ მიტინგებზე მშრომელნი.

— ფაბრიკის ყველა კომკავშირელის სახელით, — თქვა კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ზ. ლობანანძემ, — ტოლერად მტკიცე პრეტესტს გაცხადებდ ამერიკელ ომის გამჩაღებელთა მოქმედების წინააღმდეგ. მსოფლიოს ყველა ხალხს სურს, რომ ალარ გაბმეორდეს ხიროსიმის ტრაგედია.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილენი მოითხოვენ შეწყვეს ატომური იარაღის გამოცდა, რათა შენარჩუნებულ იქნას მთელი მსოფლიოს მშვიდობა (საქდესი).

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲧᲠᲝᲑᲐ

[illegible] ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ

[illegible] ᲛᲔᲤᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ

[illegible] ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

[illegible] ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ

ძვირფასი პრეპარატი

დავამარცხებთ ბიოლოგიურ პარაზიტებს!

ბჭის შემთხვევები, როდესაც ადამიანი თითქოს უმიზეზოდ თავს ავად გრძნობს — გაიცრეცება, დასჩემდება უძალობა, სისუსტეა, უსასოობა, მხედველობის დაქვეითება. დიაგნოზი: ბრტყელი ჭიები — ცესტოდები — ადამიანის, ეს უბოროტესი ფარული მტერი, რომელიც იწვევს შინაგან და ნერვულ მოავადნაირ დაავადებას და ავადმყოფობისადმი უყურადღებობის შემთხვევაში სიკვდილსაც კი.

ეს პარაზიტი ისევე უძველესია, როგორც ადამიანი. ბუნებრივია, კაცობრობას თავიდანვე აწუხებდა ეს ხშირი დაავადება, ეძებდნენ მის საწინააღმდეგო საშუალებებს.

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ძველი რომის ექიმები ჭიების საწინააღმდეგო ყველაზე საუკეთესო საშუალებად თვლიდნენ მამრობითი გვიმრის ფესვრას. შემდეგ ეს საშუალება იმდენად ჩქარ მივიწყებულა, რომ შეჩვიდმეტე საუკუნეში ლუდოვიკო XVI-ემ ეს „საიდუმლოება“ შეიძენინა ქირურგის ვინმე ნოფლერის ქვრივისაგან 18.000 ლივრად შეიძინა და ბრძანება გასცა იგი სახალხო ეთვნილებად გაეცა.



1825 წელს ქინინველმა მეფფთიაქემ პელეტიერმა პირველმა დაამზადა მამრობითი გვიმრის ფესურიდან პრეპარატი ეთერეროვანი გამონაწვლილის სახით ისევ როგორც იგი დღემდე იხმარებოდა.

ავადმყოფები იღებდნენ ამ წამალს და მეტ წილ შემთხვევებში ბევრი მათგანი ძალიან ცუდად ხდებოდა. უვითარდებოდა დამბლა, ეწყებოდათ აუტანელი ტკივილები მუცლის არეში, ზოგს მოუმლებოდა ცენტრალური ნერვული სისტემა, საკმლის მომნელებელი ორგანოები, ზოგი ბრმავდებოდა, იწვევდა სიხმლის ჩაქცევას, ლორწოვანი გარსის ანთებას, სიყვითლეს, ბევრში კი — ადამყოფურ ღრმა ძილს და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენნაირ სხვა გართულებას და ზოგჯერ ამ პრეპარატთან მკურნალობა სიკვდილით მთავრდებოდა. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ წამალი ხასიათდებოდა არასასიამოვნო გემოთი და სუნით.

მეცნიერება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეძებენ მუშაობდნენ, მაგრამ საუკუნეების მანძილზე არ ხერხდებოდა ისეთი პრეპარატის შექმნა, რომელიც ორგანიზმიდან ჭიებს გამოდევნიდა და ადამიანისათვის უვნებელი იქნებოდა.

ჭკვევარებს ინტერესებდათ, თვით მამრობითი გვიმრის ფესურის გამონაწვლილს ჰქონდა მოწამლული ასეთი თვისებები, თუ ამას მინარევები იწვევდნენ, რომლებსაც იყენებდნენ ამ ნედლეულიდან პრეპარატის მისაღებად.

ეს კითხვა დიდი ხნის განმავლობაში იდგა ქართველი მეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის პროფესორი პეტრე გელბახიანის წინაშეც. მან მიზნად დასახა გამოემუშავებინა ისეთი ტექნოლოგიური პროცესი, როდესაც მიიღებდა ცესტოდების მომსპობ პრეპარატს, რომელიც სრულიად უვნებელი იქნებოდა ადამიანისათვის.

დაიწყო შეუპოვარი შრომა ლაბორატორიაში.

— ეს ბრძოლა შვიდ წელიწადს გაგრძელდა, — გვეუბნება პროფესორი პ. გელბახიანი, — რამდენჯერ მიფიქრია ხელი ამეღო უნაყოფო შრომაზე. ჯერ ხომ მსოფლიოში ამ დარგის არც ერთ მეცნიერს არ მიეღწევია დადებითი შედეგისათვის. ვინ იცის, ალბათ შეუძლებელია ასეთი სამკურნალო პრეპარატის მიღება? მაგრამ მე მაინც მჭირდა ერთგვარი იმედი და განვაგრძობდი ძიებას.

ბევრი ვიმუშავე გვიმრის სხვადასხვა სახის შესასწავლად. მამრობითი გვიმრა, რომლისგანაც მზადდება ჭიების საწინააღმდეგო სამკურნალო ნივთიერება, ფართოდ გავრცელებულია ბორჯომის, თეთრი წყაროს და თიანეთის რაიონებში. გამოირკვა, რომ ბაკურიანის მთის კალთებზე იზრდება გვიმრა, რომელსაც მაღალი სამკურნალო თვისებები აქვს. დავადგინე, რომ ჩვენში მამრობითი გვიმრასთან ერთად იზრდება ორი სახის გვიმრა, რომლისგანაც მიიღება მალალხარისხოვანი პრეპარატი. დიდი დრო მოითხოვა თვით ნედლეულის მოქმედ ნივთიერებათა დაგროვების დინამიკის შესწავლამ, გამონაწვლილიდან ინდივიდუალური სუფთა ნივთიერების გამოყოფამ, იმის დადგენამ, რომ ნედლეულის შეგროვება სჯობს შემოდგომაზე და სხვ. დიდხანს ვეძებდი მეთოდს, როგორც ნედლი, ისე ხმელი ფესურის ერთნაირი ეფექტური გამოყენებისათვის, რომელიც დიდ ეკონომიას აძლევს წარმოებას.

მამრობითი გვიმრის ფესურიდან გამონაწვლილის მისაღებად სხვადასხვა სიმძლავრის ტუტეებით ჩატარებული ექსპერიმენტების შემდეგ მივიღეთ მოყვითალო-ყავისფერი, უსუნო და უგემო ფხვნილი, რომელსაც ჯერ „გვიმრინი“, ხოლო შემდეგ „ფილესანი“ ვუწოდეთ. მას აღარ ჰქონდა ადამიანის ორგანიზმისა მოწამლის ისეთი თვისებები, როგორიც მის წინამორბედს.

კლინიკური დაკვირვებები „ფილესანზე“ ჩატარდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პროფესორ ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის თბილისის ინსტიტუტი, ექიმთა დახელოვნების, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ტროპიკულ საშუალებათა კლინიკაში და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მალარიის, სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ჰელმინთოლოგიის მოსკოვის ინსტიტუტში. და დადგინდა, რომ „ფილესანი“ მაღალეფექტურია სხვადასხვა პარაზიტების საწინააღმდეგოდ და მასში გამორიცხული ყველა ის უარყოფითი მხარეები, რომლებიც ამ სახის ნედლეულიდან მომზადებულ პრეპარატებს ახასიათებდა. მას არა აქვს არავითარი ტოქსიკური თანამოვლენები ადამიანის ჯანმრთელობის საზიანოდ.

ქართველი მეცნიერის მიერ შექმნილი პრეპარატით — „ფილესანით“ დაინტერესდა ბევრი საბჭოთა გამოჩენილი მეცნიერი. აკადემიკოსი კ. ი. სკრიაბინი მაღალ შეფასებას აძლევს „ფილესანს“ და შას სთვლის საუკეთესო ანტიჰელმინთური თვისებების მქონე პრეპარატად ადამიანის ცესტოდებით დაავადების შემთხვევაში და აგრეთვე იმ ძლიერ საშიში დაავადებების სამკურნალოდ, როგორიც არის ექინოკოკობი, ცენუროსი და სხვ.

კ. ი. სკრიაბინის სახელობის საკავშირო ჰელმინთოლოგიურ ინსტიტუტში ვეტერინალურ პრაქტიკაში გამოსცადეს ეს პრეპარატი და დადგინეს, რომ ცხოველების ცესტოდოზების წინააღმდეგ იგი წარმოადგენს მაღალეფექტურ საშუალებას.

აკადემიკოსმა სკრიაბინმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მბრძოლ პლენუმზე ყურადღება გაამახვილა იმ დიდ მუშაობაზე, რომელსაც ეწევიან საბჭოთა ჰელმინთოლოგები. პარაზიტების წინააღმდეგ საბრძოლველად მან მაღალ ეფექტურ პრეპარატად „პიპერაზინსა“ და „დიტრაზინთან“ ერთად დასახელა „ფილესანი“.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში ამ პლენუმზე საუბრით გაიხიარა ჩვენი ქვეყნის შესანიშნავი მეცნიერის აკადემიკოს კ. ი. სკრიაბინის აზრი და აღნიშნა:

— **„კონსტანტინე ივანეს-ძე სწორად ამბობდა, რომ ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმეა. უმცირესი უხილავი ბაქტერიები დიდ ზარალს აყენებენ ცხოველებსა და მცენარეებს. ეს იწვევს ხორცის, რძის, მატყლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების საგრძნობ დანაკარგებს.**

მთლიანად უნდა გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჰელმინთოლოგიის მიღწევები. როგორც აკადემიკოსმა სკრიაბინმა ხატოვნად თქვა, ჩვენ დავამარცხეთ სოციალური პარაზიტები, დავამარცხებთ ბიოლოგიურ პარაზიტებსაც“.

პრეპარატ „ფილიქსანზე“ დიდი მოთხოვნილებაა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

ამკამად „ფილიქსანს“ თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტიული ქარხანა წელიწადში 120.000 ცალს უშვებს, რაც მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას. ამიტომ ქარხანაში აიგო ამ პრეპარატის დამამზადებელი სპეციალური საამქრო, რომელიც პრეველ პროდუქციას 1963 წელს გამოუშვებს.

* * *

სურათზე: პროფესორი პ. გელბახიანი ლაბორატორიაში მუშაობის დროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ს. მ. კეკელიძე

ბატონიშვილი საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდ-ინსტიტუტი 1917 წლიდან, ბერსონალური ბიბლიოგრაფი, ეროვნული ბიბლიოგრაფიის ფონდ-ინსტიტუტის ... ...